საჯაროსამართლის იურიდიული პირის–

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

შინაგანაწესი

კონსოლიდირებული ვერსია (27.02.2026წ; N23/2)

დამტკიცებულია
თსსუ- ის საბჭოს 2012 წლის 11იანვრის N23/1
დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შინაგანაწესის რეგულირების სფერო

1. სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) შინაგანაწესი (შემდგომში "შინაგანაწესი") შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“, „თსსუ-ის წესდებისა“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად (N23/6, 21.10.2013წ.)

2. შინაგანაწესის მიზნებია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უზრუნველყოს:
ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება;

ბ) უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების განსაზღვრა, თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების სრული განხორციელებისათვის სათანადო პირობების შექმნა;
გ) შრომის დისციპლინის დაცვის სამართლებრივი მოწესრიგება;
დ) სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება;
ე) დასაქმებულთა კვალიფიკაციის დონის, პროფესიული განვითარებისა და ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა;
ვ) სამსახურებრივმოვალეობათა შესრულებისოპერატიულობისზრდა;
ზ) სხვა მიზნები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება თსსუ-ს შრომითი, ადმინისტრაციული დააკადემიური ხასიათისურთიერთობების მოწესრიგებას. (30.10.2018წ 23/13)

ი) სხვა მიზნები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება თსსუ-ის მართვის ორგანოების არჩევნებს, შრომითი, ადმინისტრაციული და აკადემიური ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგებას.

ამოღებულია 2 - 37 მუხ.მუხ.(07/03/2018.N23/3);

თავი IV- შრომითი ურთიერთობები დასაქმებულთან

მუხლი 38. დასაქმებულთა სამსახურში მიღების და დათხოვნის წესი

1. სამუშაოზე მიღებისას დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, სამუშაოზე

მიღებულ პირს მოსთხოვოს ყველა საბუთი, დადგენილი მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი თანამდებობის დასაკავებლად;

2. ისეთ სამუშაოზე მიღებისას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ადმინისტრაციას უფლება აქვს მოსთხოვოს მუშაკს დიპლომი, ან სხვა დოკუმენტი შესაბამისი განათლებისა და პროფესიული მომზადების შესახებ. მუშაკს, რომლის მიერ შესასრულებელი სამუშაო დაკავშირებულია პრაქტიკულ სამედიცინო სწავლებასთან, მოეთხოვება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

3. სამსახურში მიღებისას აკრძალულია, მუშაკებისაგან ისეთი დოკუმენტების მოთხოვნა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

4. სამსახურში მიღება და გათავისუფლება ხორციელდება `საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 39. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობანი

1. დასაქმებული ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, შინაგანაწესი, შრომითი ხელშეკრულება, ადმინისტრაციისა და/ან უშუალო ხელმძღვანელის ბრძანებები და/ან მითითებები;

ბ) უზრუნველყოს საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად;

გ) დაიცვას საქმისწარმოებისა და დოკუმენტების შენახვის წესები;

დ) დაიცვას შრომის უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, შრომის ჰიგიენისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით.

ე) გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას;

ვ) არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა დაწესებულების საქმიანობის შედეგად;

ზ) მკაცრად დაიცვას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებანი და თანამდებობრივი ინსტრუქცია;

თ) სისტემატურად იმუშაოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე დამოუკიდებლად ან/და

ადმინისტრაციის მიერ მითითებული პროგრამით, გაიაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან/დაადმინისტრაციის ინიციატივით მოწყობილი ატესტაცია.

ი) უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, ტექსტის, ვიზუალური ან აუდიომასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება ავტორის მიუთითებლად (პლაგიატი), ასევე, საკუთარი ნაშრომის სრულად განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად (თვითპლაგიატი).

კ) უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება სამეცნიერო/აკადემიურ ნაშრომში (ფალსიფიკაცია), გაყალბებული სამეცნიერო დებულებების გავრცელება (ფაბრიკაცია), თვითციტირება დასაშვებ ზღვარს ზევით, რომელიც ციტირების საერთო რაოდენობის არაუმეტეს 20%-ს შეადგენს. (27.02.2026წ; N23/2).

ლ) აკადემიური პერსონალის მიერ შინაგანაწესის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" და ,,კ" ქვეპუნქტების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აღმომჩენი/განმცხადებელი უფლებამოსილია მოტივირებული და არგუმენტირებული განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რომელიც შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დეკანთან ან იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან ერთად, სადაც დაფიქსირდა დარღვევა, კონფიდენციალურად განიხილავს საკითხს. განცხადებაში მითითებული ფაქტების

დადასტურების შემთხვევაში, განსახილველი მასალის ავტორის (-ების) ინფორმირების შემდეგ, იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე, გარეშე პირებთაგან.

ლ.ა) კომისია, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს საქმის წარმოების პროცედურას, ვადებს და საკითხის განხილვის შემდეგ გამოიტანს შესაბამის დასკვნას. კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს მკვლევარის პრესტიჟს.

ლ.ბ)კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება შინაგანაწესის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" და ,,კ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის დამრღვევ პირს (შემდგომში - დამრღვევი), ასევე, საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროგრამის/პროექტის ხელმძღვანელს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).

მ) დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა, საპასუხო სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, კომისია და შესაბამისი ფაკულტეტი ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები პირის დარღვეული სამეცნიერო რეპუტაციის აღსადგენად.

ნ) დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული სანქციები.

2. მოვალეობათა (სამუშაოთა) სფერო, რომელსაც ასრულებს თითოეული დასაქმებული, განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, შრომითი ხელშეკრულებით ან/და დებულებით და მტკიცდება დადგენილი წესით.

3. თსსუ-ის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ მასწავლებლებს საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, უფლება აქვთ განახორციელონ რეზიდენტთა (სპეციალობის მაძიებელთა) მზადება დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების აკრედიტებული პროგრამების ფარგლებში და ექიმთა პროფესიული განვითარება აკრედიტებული/დამტკიცებული პროგრამით.

4. თსსუ-ისაკადემიური პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ პირთა შრომის ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, თსსუ-ს მიერ დამტკიცებული წესით.

მუხლი 40. ადმინისტრაციის ძირითადი მოვალეობები

1. ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) დასაქმებულთა შრომა მოაწყოს ისე, რომ თითოეული მუშაობდეს თავისი სპეციალობითა და კვალიფიკაციით, ჰქონდეს სამუშაო ადგილი, სამუშაოს დაწყების წინ დროულად გაეცნოს დავალებას და უზრუნველყოფილი იყოს სამუშაოს შესრულებისათვის სათანადო პირობებით;

ბ) უზრუნველყოს შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები; გ)უახლესი მიღწევებითაამაღლოს შრომისეფექტიანობა და ხარისხი;
დ) რაციონალურად და ეკონომიურად გამოიყენოს შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები, სრულყოს შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია, უზრუნველყოს დასაქმებულთა მატერიალური დაინტერესება, ხელფასი გასცეს დადგენილ ვადებში.

ე) უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაცვა, შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით დასაშვები ზემოქმედების წესები, განუხრელად დაიცვას შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები;

ე1) არ დაუშვას შრომითი დისკრიმინაცია, რომელიც გულისხმობს განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავებას ან გამორიცხვას ან მისთვის უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.“

მუხლი 41. დასაქმებულის სამუშაო დრო და მისი გამოყენება

1. დასაქმებულის სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი.

2. სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 10:00 საათიდან 18:30 საათამდე.
იმ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო დღის ხანგრძლივობა, რომელსაც ამავე დროს თსსუ-ში უკავია აკადემიური თანამდებობა, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე განისაზღვრება 14:00 საათიდან 19:30 საათამდე.(26.11.2025წ; N23/14).

2^1. დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაო დღის განმავლობაში ისარგებლოს შესვენებით. შესვენება არ შედის სამუშაო დროში და დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს აღნიშნული დროით თავისი ნება-სურვილის შესაბამისად. (07.05.2014; N23/3).

3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის სამუშაო დრო განისაზღვრება ხუთდღიანი სამუშაო კვირით, კვირაში 40 საათით, ხოლო აკადემიური პერსონალისათვის სამუშაო კვირა ექვსდღიანია, კვირაში 40 საათით; აქედან სალექციო-სააუდიტორიო და სტუდენტებთან საკონსულტაციო მუშაობისათვის სასწავლო დეპარტამენტში ყოფნის სავალდებულო დროდ განისაზღვროს 32 საათი.“ (N23/5; 07.04.2021წ.)

4. განსაზღვრული კატეგორიის მუშაკებისათვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული სამუშაოდრო.

5. ყოველწლიურად შვებულების რიგითობას ადგენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. დასაქმებულის ყოველწლიური შვებულება მოიცავს არანაკლებ 24 სამუშაო დღეს.

6. აკადემიური პერსონალის ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვროს არანაკლებ 24 სამუშაო დღით. შვებულების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით.

7. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წლის განმავლობაში არანაკლებ 15 კალენდარული დღით.

8. ა) აკადემიური პერსონალი, რომელსაც უნივერსიტეტში ამასთანავე უკავია ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობა, უფლებამოსილია ისარგებლოს ორივე თანამდებობიდან ანაზღაურებადი შვებულებით. ადმინისტრაციული/დამხმარე თანამდებობიდან ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) კლინიკური დეპარტამენტების აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, როგორც აკადემიურმა პერსონალმა და, ამავე დროს, საუნი-ვერსიტეტო კლინიკიდან, როგორც პრაქტიკოსმა ექიმმა. საუნივერსიტეტო კლინიკიდან ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გ) კლინიკური დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალზე საშვებულებო ანაზღაურება გაიცემა თსსუ-დან ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების, ხოლო თსსუ-ის კლინიკიდან-შვებულების წინა სამი თვისსაშუალო ანაზღაურების მიხედვით. (22.02.2017წ. N23/2)

9. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია აწარმოოს დასაქმებულთა სამსახურში მოსვლის და სამსახურიდან წასვლის აღრიცხვის ჟურნალი.

10. დასაქმებულს, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდება სამუშაოზე, იმ დღეს ადმინისტრაცია არ დაუშვებს სამუშაოზე და მის მიმართ გატარდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომები.

11. შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღის წინა სამუშაო დღის ხანგრძლივობა მცირდება 1 საათით.

12. თუ უქმე დღეს წინ უსწრებს ყოველკვირეული დასვენების დღე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ მცირდება.

მუხლი 42. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

დასაქმებულზე ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 43. წახალისება მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის

1. იმ დასაქმებულთა მიმართ, რომლებიც მოიპოვებენ წარმატებას დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას, გამოიყენება წახალისების შემდეგი სახეობები:

ა) მადლობის გამოცხადება; ბ) პრემიის მიცემა;
გ) ფულადი ან ფასიანისაჩუქრით დაჯილდოება.

მუხლი 44. პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

1. შრომისდისციპლინის დარღვევისათვის ადმინისტრაცია გამოიყენებს შემდეგ სანქციებს: ა) გაფრთხილება;
ბ) საყვედური;
გ) ხელფასის არანაკლებ 10% და არაუმეტეს 50% დაქვითვა;
დ) სამსახურიდან დათხოვნა.

2. დისციპლინური სანქციის სახით დათხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნას დასაქმებულის მიერ არასაპატიო მიზეზით მასზე შრომითი ხელშეკრულებით (კონტრაქტით) ან შინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობის სისტემატური (ორჯერან მეტად) შეუსრულებლობის საფუძველზე.

3. დისციპლინური სანქცია ადმინისტრაციის მიერ გამოიყენება გადაცდომის აღმოჩენიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, დასაქმებულის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. (30.10.2018წ 23/13)

4. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

მუხლი 45. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა დასაქმებულებამდე დაყვანის წესი.

1. სამსახურებრივ საკითხებზე დასაქმებულზე განკარგულების გაცემის უფლება აქვს რექტორს და/ან უშუალო ხელმძღვანელს (სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსს).
2. სამსახურებრივ საკითხებზე გაცემული განკარგულება შეიძლება იყოს ზოგადი (ვრცელდებოდეს ყველა დასაქმებულზე) და პერსონალური.
3. ზოგად განკარგულებას გასცემს რექტორი. ზოგადი განკარგულება გაიცემა წერილობითი

ფორმით. ზოგადი განკარგულება არ შეიძლება ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნების მომენტამდე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. პერსონალური განკარგულება გაიცემა ერთ დასაქმებულზე ან დასაქმებულთა განსვრულ ჯგუფზე. პერსონალური განკარგულება გაიცემა წერილობით ან ზეპირი ფორმით. წერილობიაზღთი ფორმით გაცემული პერსონალური განკარგულება გაცემისთანავე გადაეცემა დასაქმებულს (დასაქმებულთა ჯგუფს), რაც დასტურდება მისი (მათი) ხელისმოწერით.

მუხლი 46. სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

1. წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია წინასწარვე წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს განცხადება სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდისთაობაზე, მიზეზებისმითითებით.

2. წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, კომუნიკაციის ხელმისაწვდომი საშუალებით, აცნობოს უშუალო უფროსს გამოუცხადებლობის ფაქტი. სამსახურში გამოცხადების შემდეგ დასაქმებულმა უნივერსიტეტის რექტორს უნდა წარუდგინოს ახსნა-განმარტებითი ბარათი სამსახურში გამოუცხადებლობის თაობაზე.

3. დასაქმებულის სამსახურში გამოუცხადებლობისათვის, ან სხვა სახის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის ,,საქართველოს შრომის კოდექსით" და `საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

მუხლი 47. თანამდებობრივი შეუთავსებლობა

1. ადმინისტრაციული თანამდებობის პირს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა ან იყოს სხვა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. თუ ადმინისტრაციული
თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა, აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლა იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ან მართვის
ორგანოში უფლებამოსილების შეწყვეტას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე, თუ პირი არ აირჩა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე.

2. აკადემიურ საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე, აკადემიური საბჭოს წევრები.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა.

5. აკადემიურ პერსონალს უფლებაარააქვსუნივერსიტეტის წინასწარითანხმობის გარეშე კითხულობდეს ლექციებს სხვა უმაღლეს სასწავლებელში მიწვეული აკადემიური პირის სტატუსით ან სხვა დაწესებულებაში ეკავოს ადმინისტრაციული, ან მასთან გათანაბრებული

თანამდებობა.

6. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს, რექტორის წინასწარი თანხმობით უფლება აქვს ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას.

თავი V - სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

მუხლი 48. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი და პასუხისმგებლობა

1. სტუდენტის სტატუსი წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სტუდენტისათვის განსაზღვრულ სამართლებრივ მდგომარეობას,

რომელიც მოიცავს კანონით დადგენილი სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების უფლებებსა და მოვალეობებს.

2. სტუდენტის სტატუსი განისაზღვრება დადგენილი წესით პირის უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტიდან და მოქმედებს თსსუ-ის წესდებით და შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტთან სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტამდე.(N23/16 18.12.2017)

3. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის და მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, ხოლო დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებზე -გამარტივებული წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

4. მაგისტრატურაში მიღება ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრული წესით.

5. დოქტორანტურაში მიღების წესი დგინდება შესაბამისი ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.
6. სტუდენტების გრანტის მოსაპოვებლად/გასაუმჯობესებლად მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს `ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება.

7. სტუდენტის ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციისგავლა უნივერსიტეტში დადგენილი წესის დაცვით.

8. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია ყოველ სემესტრში (შემოდგომის და გაზაფხულის) გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სარეგისტრაციო ვადაში. სტუდენტთა სემესტრული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მზაობას სრულად მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ გადახდით. (N23/2; 08.02.2022წ.).

8[1]. სწავლის საფასურის დარიცხვა და გადახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის და დიპლომირებული სტომატოლოგის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების და ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის (გარდა პირველი სემესტრისა), განხორციელდეს სემესტრის განმავლობაში ორჯერ: შემოდგომის სემესტრში სწავლის პირველად

დარიცხული საფასური გადახდილ იქნეს სწავლის დაწყებიდან სამი კვირის ვადაში; ხოლო მეორედ დარიცხული სწავლის საფასური გადახდილ იქნეს 20 ნოემბრამდე; გაზაფხულის სემესტრში სწავლის პირველად დარიცხული საფასური გადახდილ იქნეს სწავლის დაწყებიდან სამი კვირის ვადაში, ხოლო მეორედ დარიცხული სწავლის საფასური გადახდილ იქნეს 10 მაისამდე; (N23/13; 25.07.2023წ.).

8^2 ა) მე-8^1 პუნქტით დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტუდენტის სტატუსი.

ბ) სტუდენტი მეორედ დარიცხული სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, კარგავს პირველად დარიცხული და გადახდილი საფასურის შემდგომ სემესტრში გამოყენების უფლებას;

გ) სტუდენტი, რომელიც სტატუსს იჩერებს პირადი განცხადების საფუძველზე სწავლის დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ და ჩართული იყო სასწავლო პროცესში, კარგავს გადახდილი/ დარიცხული სწავლის საფასურის შემდგომ სემესტრში გამოყენების უფლებას; (N23/13; 25.07.2023წ.)

$გ^1$) სტუდენტი, რომელიც შემოდგომის სემესტრში 20 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში 10 მაისამდე, ჩართული იყო სასწავლო პროცესში, კარგავს გადახდილი/დარიცხული სწავლის საფასურის შემდგომ სემესტრში გამოყენების უფლებას; (N23/13; 25.07.2023წ.)

$გ^2$)მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის ყველა პროგრამის, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის უცხოურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის, (გარდა პირველი და მე-2 სემესტრისა), სწავლის საფასურის დარიცხვა და გადახდა განხორციელდეს ერთჯერადად შემოდგომის სემესტრში სექტემბრის მესამე ორშაბათამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 10 მარტამდე. (N23/2; 08.02.2022წ.)

$გ^3$) მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდა განხორციელდეს მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. (N23/2; 08.02.2022წ.)

$გ^4$) ა) მე-8^1, მე-8^3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო სასწავლო გრანტით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში,

ბ) ის სტუდენტები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა მათი სწავლის საფასური დაიფაროს სხვა

წყაროებიდან, სწავლის საფასურს გადაიხდიან მე-8^1, მე-8^3 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში, დაფინანსების შემთხვევაში კი დაუბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი თანხა.“ (N23/2; 08.02.2022წ.).

9. სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს ს ა მი კვირის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.(N23/21;21.12.2021წ);

10. სემესტრული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს სემესტრული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.

11. სტუდენტის მიერ ბრალეული დარღვევისთვის პასუხისმგებლობას არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა, ხელშეკრულების პირობების, უნივერსიტეტის წესდების ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების დარღვევის შინაარსის შესაბამისად.

12. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობისას გამოიყენება ამ შინაგანაწესით დადგენილი ნორმები.

მუხლი 49. ამოღებულია.(07/03/2018. N23/3);

მუხლი 50. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთ უნივერსიტეტში ჩარიცხვა
უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთაჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 51. ამოღებულია.(07/03/2018. N23/3);

მუხლი 52. უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლებააქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;

ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, მათ შორის -კლინიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შეფასება;

ე) პერიოდულად მოახდინოსაკადემიურიპერსონალის მუშაობისშეფასება.

2. უნივერსიტეტისსტუდენტივალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

ბ) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები, წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი საბუთები: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი _ ატესტატი; კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნისდამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური სემესტრული რეგისტრაციისათვის დადგენილვადებში;

გ[1]). უცხოელი სტუდენტი ვალდებულია ყოველი ახალი სასწავლო სემესტრის დასაწყისში (რეგისტრაციის ვადაში) წარმოადგინოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი. (N23/8. 24.12. 2012წ.)

$г^2$). ,,$г^1$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელი სტუდენტი ვერ გაივლისადმინისტრაციულ რეგისტრაციას. (N23/8. 24.12. 2012წ.)

დ) ერთი თვის ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს მითითებული ინფორმაციის ცვლილებებზე;
ე) დაიცვას ეთიკის კოდექსი;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

მუხლი 53. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა; გ) აკადემიური შვებულება;
დ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერძალაშიშესვლამდე;
ე) სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში სასწავლო გეგმი გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვის 35%-ზე მეტის გაცდენა.

2. სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა პირადი განცხადების საფუძველზე:

ა) უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით;
ბ) სავალდებულოსამხედროსამსახურში გაწვევისგამო; გ) მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;
დ) ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის მიზნით; ე) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;
$ე^1$) იმ ენის შესწავლის მიზნით, რომელზედაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა; (07/03/2018. N23/3)
3. სტატუსშეჩერებული სტუდენტი სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდგომ, კანონმდებლობით დადგენილი წესით სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება იმ ტარიფის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა სტუდენტთან ხელშეკრულების დადების დროს, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. (N23/3, 20.02.2015წ)

5. სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 3 (სამი) კვირის განმავლობაში სტუდენტისათვის

სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მიმდინარე სასწავლო წლის უკვე გადახდილი თანხა ჩაითვლება მომავალი სწავლის საფასურის ანგარიშში.

5^1. სემესტრის დაწყებიდან 3 (სამი) კვირის შემედგ , სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ , რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი არ გამოიცემა (02.07.2025წ. #23/6) (ამოქმედდეს 2025/2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.)

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის

სტატუსის შეჩერება.“ (23.07.2024წ. #23/12)

მუხლი54. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადიგანცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სტუდენტის სხვასაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

დ) სტუდენტის მიერ თვითნებურად სწავლის მიტოვება 5 წელზე მეტი ვადით;

ე) ერთსადა იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის მიუღებლობა;

ვ) სტუდენტის გარიცხვა, დისციპლინარული ქცევის მოთხოვნების უხეში ან სისტემატური დარღვევის (სისტემატურ დარღვევად ითვლება ზედიზედ ორი ან მეტი დარღვევა) ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის/პირობების დარღვევისათვის, ან კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში;

ზ) გარდაცვალება; (07/03/2018. N23/3).

2. წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება რეზიდენტზე (საექიმო სპეციალობის მაძიებელზე) რეზიდენტურისათვის კანონმდებლობითა და თსსუ–ის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტებით დადგენილი სპეციფიკისა და თავისებურე- ბების გათვალისწინებით. (N23/2, 29.04.2013წ.)

მუხლი 55. საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშება, სტუდენტთა საქმიანობის შეფასება და საგნის განმეორებით მოსმენის წესი

1. სტუდენტების საქმიანობის შეფასების წესი:

ა) სტუდენტების საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც ადგენს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში _ საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის 30 საათს;

ბ) სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტია, რაც მოიცავს 1800 საათს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტს შორის კრედიტების განაწილების სისწორე მოწმდება სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები.

2. სტუდენტის დატვირთვა და შეფასების წესი:

ა) სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა.ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ, სემინარულ ან/და

ლაბორატორიულ მეცადინეობას;

ა.ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

ა.გ) სასწავლო, სამეცნიეროდა საწარმოოპრაქტიკას; ა.დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;
ა.ე) სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას, მათ შორის - სამაგისტრო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომზე;

ა.ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომისმომზადებას გამოსაქვეყნებლად და დაცვას;

ბ) სტუდენტის მიერ საგანში მიღებული შეფასება ამ საგნის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტებში მიღებულ შეფასებათა ჯამია. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით.

გ) კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. საგანში კრედიტის მისაღებად აუცილებელია დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი). გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, სხვა კომპონენტებით დაგროვილი ქულების მიუხედავად, სტუდენტი კრედიტს ვერ იღებს.

გ.ა) დასკვნითი გამოცდაფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება:

გ.ბ) დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და

მეტი) მიღების შემთხვევაში;

გ.გ) მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე – დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში (N23/1,

01.03.2013წ.) (ამოქმედდეს2014/2015 სასწავლოწლიდან.)

დ) საკრედიტო სისტემა სტუდენტის მიერ მიღებული ყველა კომპონენტით ითვალისწინებს: დ.ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

დ.ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი. დ.ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%. დ.ა.გ) (ჩ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%.
დ.ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%. დ.ა.ე) (E) საკმარისი- მაქსიმალური შეფასების 51-60%.
დ.ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
დ.ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

დ.ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არისსაკმარისი და მას საგანი ახლიდანაქვს შესასწავლი.

ე) დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების/ქულის გათვალისწინებით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა; (N23/21; 21.12.2021წ.)

ვ) სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და

შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა; დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს ეძლევა;(07/03/2018. N23/3)

ვ.ა) ძირითად სასესიო პერიოდში გამოცდაზე გაუსვლელობის შემთხვევაში, მიზეზის მიუხედავად,
ვ.ბ) ძირითადსასესიოპერიოდში FX შეფასების შემთხვევაში.

ზ. დავალიანებული სტუდენტის მიერ საგნის განმეორებითი სწავლება ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის ვადაში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალიანების მოცულობა სასწავლო წლისმანძილზე არაღემატება 15 კრედიტს.

(N23/16 18.12.2017)

ზ1. საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდგომ საგნის განმეორებით სწავლებაზე სტუდენტის დაშვება ხდება სტუდენტის მიერ განცხადებისა და სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

(N23/16 18.12.2017)

ზ2. ამოღებულიქნეს. (N23/16 18.12.2017)

ზ3) სტუდენტის მიერ პატივსადები საფუძვლით სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში მას უბრუნდება

მისი სწავლისათვის გამოუყენებელი თანხა. (23/8. 24.12. 2012)

თ) გამოსაშვებ და ინტეგრირებულ გამოცდამდე სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულა

იანგარიშება ცალკეულ საგანში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის მიხედვით.

3. კრედიტების განაწილება, დაგროვებადა ტრანსფერი:

ა) კრედიტები ნაწილდება თითოეულ სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (საგანი, სასწავლო კურსი, მოდული, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.);

ბ) მობილობის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე, პირის მიერ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიმოპოვებული კრედიტები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულად ითვლება, თავსებადობის შემთხვევაში, შეიძლება უნივერსიტეტის მიერ იქნას აღიარებული.

გ) სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოსული სტუდენტი, მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამასთან ერთად, დეკანატის და სასწავლო პროგრამების მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლობს და აბარებს იმ განსხვავავებულ საგნებს, რომლებშიც კრედიტი არ აქვს მიღებული. განსხვავებული საგნების კრედიტების ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.(07.03.2018. N23/3)

4. საგნის განმეორებითი მოსმენა:

ა) სწავლების იმავე ეტაპზე საგნის განმეორებითი მოსმენისას სტუდენტს ევალება სრულად შეასრულოს ამ საგნის ათვისებისათვის აუცილებელი სამუშაო (დააგროვოს შესაბამისი კრედიტი), აგრეთვე, გაიაროსშესაბამის სასწავლოეტაპზედადგენილიყველა ის საგანი, რაშიც მას კრედიტი არ აქვს მიღებული;

ბ) ამოღებულია.(N23/16 18.12.2017)

გ) საგნის განმეორებითი მოსმენის საფასური იანგარიშება მიმდინარე სასწავლო წელს დამტკიცებული, ამ საგნისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობიდან. ერთი კრედიტის საფასური მთელი წლის სწავლების საფასურის 1/60-ს შეადგენს;

დ) სტუდენტის მიერ კურაციული საგნის საპატიო მიზეზით გაცდენის და ამის შესახებ

ფაკულტეტის დეკანატის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში, დეკანატი და შესაბამისი დეპარტამენტის/მიმართულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სტუდენტისთვის

ინდივიდუალური გრაფიკის შექმნაზე _ შუალედური შეფასებების მისაღებად ძირითად სასესიო პერიოდამდე.

ე) დასაშვებია, რომ სტუდენტმა თითოეული დისციპლინა განმეორებით შეისწავლოს მხოლოდ ორჯერ. შემდგომ მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი;

ვ) დაუშვებელია, რომ პრერეკვიზიტული და მემკვიდრე დისციპლინები განმეორებითი სწავლების დროს შეისწავლებოდეს ერთდროულად (პარალელურად);
ზ) ამოღებულია.(N23/16 18.12.2017)

თ) განმეორებითი სწავლების შემდგომი დასკვნითი გამოცდა(-ები) უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით".

5. უწყისის წარმოება:

ა) საგამოცდოუწყისს დეკანატი გასცემს გამოცდამდე სამიდღითადრე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში ყველა ჯგუფისათვის გაიცემა ერთიანიდამატებითი უწყისი. დასაბუთებულ შემთხვევაში დასაშვებია სტუდენტზე ინდივიდუალური უწყისის გაცემა;

გ) პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი უწყისი რეგისტრირდება დეკანატის სამდივნოში გამოცდის დამთავრებიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 56. სტუდენტის პასუხისმგებლობა

1. სტუდენტის პასუხისმგებლობა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულების პირობების, უნივერსიტეტის წესდების ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების ბრალეული დარღვევისათვის, დარღვევის შინაარსის შესაბამისად.

2. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობისას გამოიყენება ამ შინაგანაწესით მუშაკთათვის დადგენილი ნორმები.

თავი VI. დასკვნითი დაგარდამავალი დებულებები მუხლი

მუხლი 57. დასკვნითი დებულებები

1. შინაგანაწესი ძალაშია მისი დამტკიცების მომდევნო სამუშაო დღიდან.
2. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს.

მუხლი 58. გარდამავალი დებულებები

1. 2011-2012 სასწავლო წლამდე შეფასების 5-ქულიან სისტემასთან მიმართებაში ასქულიანი სისტემით მიღებულ შეფასებათა კონვერტაცია ხდება შემდეგი სქემით

შეფასების ასქულიანი სისტემა	შეფასების ხუთქულინი სისტემა
86-100	5
71-85	4
51-70	3
0-50	2

2. იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომლებიც უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დაიდო შინაგანაწესის ძალაში შესვლამდე, შინაგანაწესის ნორმები გამოიყენება.
3. ამოღებულია. (30.10.2018წ23/13)
4. თსსუ-ის შინაგანაწესის მოქმედება ვრცელდება 2012 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ყველა სამართლებრივ ურთიერთობაზე.

4[1]. ამოღებულია. (07/03/2018. N23/3).